საქართველოს მთავრობის განკარგულება

№947 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

„სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „სომგოს კომპანიის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 60 თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ქონებაზე ტურისტულ-დასასვენებელი/საწარმოო კომპლექსისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, კერძოდ:

ბ.ა) ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საწარმოს მშენებლობა და ფუნქციონირების დაწყება;

ბ.ბ) არანაკლებ 1 (ერთი) ჰექტარ მიწის ნაკვეთზე სადემონსტრაციო ვენახის გაშენება;

ბ.გ) არანაკლებ 50-ნომრიანი (200 ადამიანზე გათვლილი რესტორნით) სასტუმროს მშენებლობა და ფუნქციონირება;";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების მიზნით, არანაკლებ 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ინვესტიციის განხორციელება.".

2. შპს „სომგოს კომპანიამ" (ს/კ: №205219360) „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616 განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, მათი შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველყოფის მიზნით, ამ განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინოს არანაკლებ 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის შეცვლილი/ახალი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადაც 4 თვით უნდა აღემატებოდეს ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების ვადას.

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49[1] მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, შპს „სომგოს კომპანია" გათავისუფლდეს, ამ განკარგულების საფუძველზე, შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გადახდისაგან, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სომგოს კომპანიისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის №616

განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი 3 სექტემბერი №1 გიორგი კვირიკაშვილი